

გერმანული ფილოლოგია

გერმანული ენის ფონეტიკა-ფონოლოგია/German phonetics and phonology

სასწავლო კურსი I. შეუქმნის მაგისტრანტს თეორიულ საფუძველს ენათმეცნიერების ისეთ საბაზისო დარგში, როგორცაა ფონეტიკა-ფონოლოგია, რომლის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი სხვა ენათმეცნიერული დისციპლინის სრულყოფილი შესწავლა, გერმანისტიკის, განსაკუთრებით კი ფონეტიკა-ფონოლოგიის სფეროში, სამეცნიერო ნაშრომების სრულფასოვანი გაგება და საკუთარი კვლევების ჩატარება; II. მაგისტრანტს გააცნობს გერმანული ენის ფონოლოგიის კონკრეტულ ძირეულ საკითხებს გერმანული ენის მასალაზე დაყრდნობის და მისი ქართულთან შეპირისპირების ბაზაზე.

ფუნქციონალური და კულტურათაგანმასხვავებელი გრამატიკა/Functional and intercultural grammar

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია გრამატიკული ფენომენების დასახელება კომუნიკაციურ კონტექსტში და მათი ფუნქციონალური გაგება. ლინგვისტურ და დიდაქტიკურ გრამატიკას შორის არსებული განსხვავების ცოდნა. სტუდენტს გამოუმუშავდება ენობრივ ქმედებათა სფეროში კულტურათშორისი შედარების ანალიზის უნარი.

გერმანულენოვანი ლიტერატურა ინტერდისციპლინურ კონტექსტში I (XX საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურა და მაქს ვებერი)

სასწავლო კურსის განსახილველი მასალის ცენტრში დგას გერმანულენოვანი მწერლის, ელიას კანეტის რომანი „აუტოდაფე“. მთლიანობაში რომანი იძლევა შეცვლილი, აზრისაგან ერთგვარად დაცლილი სამყაროს სურათს, სადაც საზოგადოებაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობენ ცალკეული სუბსისტემები, რომლებსაც მისდევენ და ემორჩილებიან ადამიანთა ცალკეული ჯგუფები. რომანის ინტერპრეტაციისთვის სასურველია სოციალურ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინება: ამ კონკრეტულ შემთხვევაში ცნობილი გერმანელი სოციოლოგის, მაქს ვებერის მოძღვრების. სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტებს მიეწოდებათ კონკრეტული ინფორმაციები თუ დებულებები მაქს ვებერის ტექსტებიდან, რის გათვალისწინებაც სასურველია კანეტის რომანის ანალიზისთვის. სასწავლო კურსი მაგისტრანტებს შეხებაში მოიყვანს ლიტერატურული და კულტურულ-სოციალური საკითხების უაღრესად ფართო სპექტრთან.

გერმანულენოვანი ლიტერატურა ინტერდისციპლინურ კონტექსტში III (გეორგ ზიმელი, ოსვალდ შპენგლერი და XX საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურა) /

სასწავლო კურსის განსახილველი მასალის ცენტრში დგას სამი გერმანულენოვანი მწერლის, ალფრედ დიობლინის, ჰერმან ჰესეს და ფრანც ვერფელის რომანები,

„ბერლინი. ალექსანდერპლაცი“, „რიოში მარგალიტებით თამაში“ და „დაუბადებელთა ვარსკვლავი“. სასწავლო კურსის ფარგლებში სამივე ნაწარმოებიდან დამუშავდება ცალკეული ამონარიდები. დიობლინის „ბერლინი. ალექსანდერპლაცი“ არის ტიპიური „დიდი ქალაქის რომანი“, დიდი ქალაქისთვის და მოდერნისთვის დამახასიათებელი ელემენტებით. სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები იმუშავენ მნიშვნელოვან ლიტერატურულ თუ კულტურულ-ისტორიულ, ინტერდისციპლინარულ საკითხებზე.

გერმანული ენათმეცნიერების ძირითადი ასპექტები

კურსი ითვალისწინებს, გააცნოს სტუდენტებს გერმანისტული ლინგვისტიკის თანამედროვე დონე და ჩაუყაროს საფუძველი მომდევნო ორ სემესტრში შემოთავაზებული სპეციალური თეორიული საგნების ძირითადი ასპექტის შესწავლას გერმანულ ენათმეცნიერებაში. მუშაობისა და ლინგვისტური პრობლემების რეფლექტირებისა (იდენტიფიკაციისა) და მათი სხვადასხვა მეთოდით გადაწყვეტისა და ამა თუ იმ პრობლემაზე კრიტიკული ინფორმაციის მოძიების ან თავად კრიტიკული და თვითკრიტიკული პოზიციის გამომუშავების უნარი, რათა გაღრმავდეს გერმანული ენათმეცნიერების ასპექტებისადმი მეცნიერული ინტერესი იმგვარად, რომ მათ შეძლონ სხვადასხვა ასპექტში მიღებული ნაწილობრივი კომპეტენციების შედარების საფუძველზე თვითონ წამოაყენონ მათთვის საინტერესო ჰიპოთეზა ამა თუ იმ ასპექტში და შეძლონ გამოიყენონ თანამედროვე მეთოდები შესაბამისი ენობრივი ერთეულების კორპუსის ან ტექსტის კვლევის დროს.

გერმანულენოვანი ლიტერატურა ინტერდისციპლინარ კონტექსტში IV: (გერმანულენოვანი ლიტერატურული მოდერნიზმი და ფრიდრიხ ნიცშე)

აღნიშნული კურსი ითვალისწინებს მაგისტრანტებს მისცეს გაღრმავებული ცოდნა ნიცშეს ფილოსოფიასა და გერმანულენოვანი მოდერნისტული ლიტერატურის ურთიერთმიმართებების თავისებურებებზე: კერძოდ, რამდენად ითვალისწინებს, იზიარებს ან უკუაგდებს გერმანულენოვანი მოდერნისტული ლიტერატურა ნიცშეს *სიცოცხლის ფილოსოფიის* იდეურ პოსტულატებს (ზეკაცის იდეა, ღირებულებათა გადაფასება, იმორალიზმი, ცივილიზაცია VS. კულტურა, მარადიული დაბრუნების იდეა, ძალაუფლების ნება, ღმერთის სიკვდილის პოსტულატი და სხვა.); რამდენად ფართო ან ფრაგმენტულია ნიცშეს გავლენა აღნიშნული ლიტერატურული ეპოქის ამა თუ იმ წარმომადგენელზე. ფაქტობრივად, აღნიშნული კურსი წარიმართება ფილოსოფიური ლიტმცოდნეობის ჭრილში, როდესაც, ერთი მხრივ, კონკრეტული ფილოსოფიური ნაკადი (ამ შემთხვევაში ნიცშეს ფილოსოფიური მემკვიდრეობა) შედის ლიტერატურულ ტექსტებში, ხოლო, მეორე მხრივ, თავად ლიტერატურული ტექსტების ინტერპრეტაცია მიმდინარეობს ზოგადფილოსოფიური კონტექსტის ჭრილში.

გერმანულენოვანი ლიტერატურის რეცეფცია საქართველოში

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია გერმანული ლიტერატურის საქართველოში გავრცელების ისტორიის დეტალური შესწავლა, ამ ლიტერატურის როლის გააზრება ორი კულტურის დაახლოებაში. გერმანულენოვანი ლიტერატურის ქართული თარგმანების ადეკვატურობის ხარისხის დადგენა დედნისა და თარგმანის კომპარატიული ანალიზის გზით.

გერმანული მედიევსტიკა (გერმანული შუა საუკუნეების საზოგადოება და ლიტერატურა - სოციოლოგიური მეთოდი ლიტერატურისმცოდნეობაში)

სასწავლო კურსი ეხება შუა საუკუნეების გერმანიაში საზოგადოებისა და ლიტერატურის ურთიერთმიმართების პრობლემას. კურსი მიზნად ისახავს, მაგისტრანტებს პრაქტიკული მაგალითების ფონზე დეტალურად გააცნოს სოციოლოგიური მეთოდი და მისი გამოყენება გერმანულ ლიტერატურისმცოდნეობაში. „ფრანკფურტის სკოლის“ გავლენით სოციოლოგიური მეთოდი გერმანულ ლიტერატურისმცოდნეობაში ფართოდ გამოიყენება და ლიტერატურით დაინტერესებული სტუდენტებისთვის მისი გათვალისწინება სასურველია.

კომპიუტერული ლინგვისტიკა

აღნიშნული კურსი ითვალისწინებს სტუდენტებისათვის თანამედროვე ლინგვისტური თეორიების გაცნობას მათი კომპიუტერულ გარემოში გამოყენების თვალსაზრისით; სტუდენტებისათვის კომპიუტერული ლინგვისტიკის მეთოდებისა და საშუალებების სწავლება ბუნებრივი (მათ შორის ქართული) ენის მასალის გამოყენებით; ქართული ენის მასალაზე დაყრდნობით გაუადვილოს სტუდენტებს თეორიული ლინგვისტიკის მეთოდების შესწავლა, რაც დაეხმარება მათ ფორმალურ ენათა და გრამატიკათა გამოყენებაში სხვადასხვა ენის კომპიუტერული გრამატიკების (პარსერების) შექმნისას. უჩვენოს სტუდენტებს კომპიუტერული სისტემების მაღალი ეფექტიანობა ბუნებრივი ენების ტექსტების დამუშავების პროცესში.

კონტრასტული ლინგვისტიკა (გერმანულ/ქართული)

კურსი შეისწავლის ორი (გერმანული-ქართული), ზოგ შემთხვევაში რამდენიმე ენის სისტემურ დაპირისპირებას პრაგმატული მიზნით, რათა გამოავლინოს ცალკეული ენების წმინდა სინქრონულ დონეზე სტრუქტურული განსხვავებები და, ამდენად, შექმნას ნიადაგი გამოყენებითი ლინგვისტიკისათვის. კურსის ინტერესს წარმოადგენს ენის ტიპოლოგია და უცხო ენის დიდაქტიკა (შეცდომების ანალიზი), კონტრასტული ლინგვისტიკის მთავარი პრობლემა, შესადარებელი ენებისათვის გამოსადეგი გრამატიკული მოდელის არჩევა, ასევე ე. წ. »tertium comparationis« გამოვლენა, რომელიც ორივე ენის ერთეულების შესადარებლად გამოიყენება. კურსში მოხდება

ქართული და გერმანული ენების შედარება წმინდა ფორმალური თვალსაზრისით, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია გარკვეული მონაცემების დადგენის პარალელურად ამ დადგენილი მონაცემების ახსნა.

ლინგვისტური პრაგმატიკა (გერმანული ენის მასალაზე)

სასწავლო კურსი ითვალისწინებს ლინგვისტური პრაგმატიკის, ანუ პრაგმალინგვისტიკის, როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი დისციპლინის, პრობლემატიკის, ცნებებისა და მეთოდების გაცნობა-შესწავლას. პრაგმალინგვისტიკა, რომლის აღმავლობა ლინგვისტიკის ე.წ. პრაგმატიკული შემობრუნების შემდეგ გასული საუკუნის 70-ანი წლებიდან დაიწყო, ჯერ კიდევ „ღია“ მეცნიერებაა და მისი თემატიკა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აღნიშნულ კურსში სტუდენტები გაეცნობიან, თუ რა მიმართება არსებობს ენასა და ენის გამოყენებულთა შორის და როგორ აისახება იგი ენის პრაქტიკული გამოყენების დროს. ძირითადი ყურადღება დაეთმობა „კლასიკური“ ლინგვისტური პრაგმატიკის თემებს, როგორებიცაა ენობრივი ქმედება, ენობრივი ქმედების ნიმუში, მეტყველების აქტების თეორია, არაპირდაპირი მეტყველების აქტები, თავაზიანობა, Face-ის თეორია, მიმართვის ფორმები, კონვერზაციის მაქსიმები, ინფორმაციის სტრუქტურა, საკომუნიკაციო სიტუაცია, ინსტიტუციური კომუნიკაცია, დიალოგის ანალიზი, პრესუპოზიცია და იმპლიკატურები.

გერმანული ლიტერატურისა და კინემატოგრაფიული შედეგების ინტერმედიალური ანალიზი

კურსი ფარგლებში სხვადასხვა ჟანრის (დრამა, მოთხრობა, რომანი) წერილობითი ტექსტების ეკრანიზაციის მაგალითზე სტუდენტები გაეცნობიერებენ განსხვავებებს მედიის ორ სხვადასხვა საშუალებას – ლიტერატურასა და ფილმს შორის, გაეცნობიან ეკრანიზაციის ანალიზისათვის საჭირო მეთოდური გზებსა და ადაპტაციის ტიპებს.

გერმანულენოვანი ლიტერატურა ინტერდისციპლინურ კონტექსტში II:

(გერმანულენოვანი მხატვრული ტექსტების ინტერპრეტაციის პრობლემა და

ჰერმენევტიკული კონცეფციები - ფრ. შლაიერმახერი, ვ. დილთაი, მ. ჰაიდეგერი, ჰ.-გ. გადამერი)

სასწავლო კურსი ითვალისწინებს, რომ მაგისტრანტებს მიაწოდოს ცოდნა ტექსტის (მხატვრული, ფილოსოფიური) განმარტებისა და გაგების მექანიზმების შესახებ და დეტალურად გააცნოს ჰერმენევტიკული მეთოდის არსი. კურსის მიზანია, მაგისტრანტებს გაუღრმავოს მხატვრული ტექსტების კონცეპტუალურად მართებული ინტერპრეტაციისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, გააცნოს სხვადასხვა ჰერმენევტიკული კონცეფცია – ტექსტის ინტერპრეტაციის ანტიკური ტრადიცია,

ტექსტის ინტერპრეტაციის ადრექრისტიანული კონცეფცია (ეგზეგეტიკა), ჰერმენევტიკის ფუძემდებლის, ფრ. შლაიერმახერის ჰერმენევტიკული კონცეფცია და ჰერმენევტიკის შემდგომი პერიოდისა და თანამდეროვე თეორიები (ვ. დილთაი, მ. ჰაიდეგერი, ჰ.-გ. გადამერი). თეორიული ცოდნის მიცემასთან ერთად კურსი ასევე მოიაზრებს პრაქტიკულ მუშაობასაც: კერძოდ, სემინარებზე მაგისტრანტები შეასრულებენ სხვადასხვა ეპოქის, ჟანრისა თუ ლიტერატურული მიმდინარეობის გერმანულენოვანი მხატვრული ტექსტების ინტერპრეტაციას ჰერმენევტიკული მეთოდის ბაზაზე (მხატვრული ტექსტების ჩამონათვალი იხ. ქვემოთ). ამასთანავე, მაგისტრანტებს მიეცემათ კონკრეტული საშინაო დავალება, განახორციელონ ამ თუ იმ ტექსტის ინტერპრეტაცია ჰერმენევტიკული მეთოდის გამოყენებით. თავიანთ ნამუშევრებს მაგისტრანტები შემდგომ წარმოადგენენ სემინარებზე.

გერმანულენოვანი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ავტორები (სემინარი: თომას მანი და მაქს ფრიში)

სამაგისტრო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია თომას მანისა და მაქს ფრიშის რჩეული ნაწარმოებების შესწავლა-ინტერპრეტაცია.

გერმანულენოვანი ლიტერატურის თეორია I (რეცეფციის ესთეტიკა კონსტანცის ლიტერატურულ სკოლაში და ჰანს რობერტ იაუსის ლიტერატურული ჰერმენევტიკა)

სასწავლო კურსის განხილვის საგანია რეცეფციის ესთეტიკის ლიტერატურული მეთოდი, რომელიც დასავლეთ გერმანიაში შემუშავდა კონსტანცის ლიტერატურული სკოლის ფარგლებში, 1960-იან წლებში. მისი მთავარი წარმომადგენლები არიან ჰანს რობერტ იაუსი და ვოლფგანგ იზერი. რეცეფციის ესთეტიკის მიხედვით, ინტერპრეტაციისას აქცენტი გადატანილია მკითხველზე. პარადიგმის აღნიშნული ცვლილებით ხელოვნების ნიმუშის რეალიზაცია პრინციპულად არის დამოკიდებული ინტერპრეტატორზე. რეცეფციის ესთეტიკა, გარკვეულწილად, რადიკალიზებული ჰერმენევტიკაა. მისთვის მთავარია „გაგების აქტი“, თუმცა მთავარ ინსტანციად რეციპიენტს სახავს. სასწავლო კურსის ფარგლებში განიხილება ამონარიდები ჰანს რობერტ იაუსის და ვოლფგანგ იზერის პრიმარული ტექსტებიდან, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურიდან. მხატვრული ტექსტებიდან რეცეფციის ესთეტიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით დამუშავდება იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „ვილჰელმ მაისტერის სწავლის წლები“ და „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები“, ასევე XIX-XX საუკუნეების რიგი ინტერპრეტაციისთვის სანიმუშო ნოველები.

გერმანულენოვანი ლიტერატურის თეორია II (გერმანულენოვანი ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები)

მოცემული კურსი ითვალისწინებს თანამედროვე დასავლური ლიტერატურათმცოდნეობის კვლევითი მეთოდებისა და მიმართულებების შესწავლას. ცალკეული მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეები შეფასდება როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტში. შესაბამისად, ყურადღების ცენტრში მოექცევა ერთი მხატვრული ტექსტი (ფრანც კაფკას “განაჩენი”), რომელიც გაანალიზდება სხვადასხვა თეორიულ კონცეფციაზე დაყრდნობით. გერმანელ მეცნიერთა თეორიული შრომების გაცნობით სტუდენტს გამოუმუშავდება არა მარტო სამეცნიერო ლიტერატურასთან მუშაობის ჩვევები, არამედ შეექმნება წარმოდგენა თანამედროვე ლიტერატურის თეორიაში არსებული მეთოდური პლურალიზმის შესახებაც. მიღებული თეორიული ცოდნა დაეხმარება სტუდენტს სამაგისტრო თუ სხვა ნაშრომებისთვის შესაბამისი მეთოდის შერჩევაში.

გერმანულენოვანი ლიტერატურის თეორია III (მცირე ზომის ლიტერატურული ტექსტები: შვანკი, ნოველა, მოთხრობა)

სასწავლო კურსი მაგისტრანტებს აწვდის ინფორმაციას გერმანული მცირე ზომის ტექსტების, ნოველის, მოთხრობის, შვანკის თეორიისა და ისტორიის შესახებ. სალექციო საათებზე უმთავრესად დამუშავდება თეორიასა და ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები. სასემინარო საათები დაეთმობა კონკრეტული ნაწარმოებების ანალიზს. თეორიული პრობლემატიკიდან ყურადღება გამახვილდება, აგრეთვე, შემდეგ საკითხებზე: ცენტრირების სხვადასხვა ფორმა: ცენტრირება საგანზე, ადგილზე, პერსონაზე, შემთხვევაზე, მოვლენაზე, სიტუაციაზე; დამაბულობისა და მოლოდინის აგების პრობლემა: პოინტირება და ფოკუსირება. სათანადოდ დამუშავდება მცირე ზომის პროზაული ტექსტების ინტერპრეტაციის სხვადასხვა პრინციპი.

გერმანულენოვანი ლიტერატურის თეორია IV (გერმანულენოვანი რომანი)

წინამდებარე კურსი ითვალისწინებს, გააცნოს მომავალ გერმანისტებს რომანის თეორიის უმნიშვნელოვანესი კონცეფციები და უკანასკნელი წლების დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში განსაკუთრებულად აქტუალური თეორიული დისციპლინის – ნარატოლოგიის ძირითადი პრინციპები. რომანის თეორიის სხვადასხვა კონცეფციის გაცნობა გაუადვილებს მომავალ გერმანისტებს თავიანთი სამეცნიერო ნაშრომისთვის შესაბამისი დამხმარე ლიტერატურის მოძიებასა და გამოყენებას. ნარატოლოგიის ძირითადი პრინციპების ცოდნა დიდ სამსახურს გაუწევს მათ მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციისას და დაეხმარება მათ, ზუსტ დაკვირვებაზე დაამყარონ თავიანთი მსჯელობა და დასკვნები.

გერმანულენოვანი ლიტერატურის თეორია V (გერმანულენოვანი დრამის ისტორია)

წინამდებარე კურსი ითვალისწინებს, გააცნოს მომავალ გერმანისტებს გერმანული დრამის ისტორიის ძირითადი საფეხურები და ცნობილი გერმანელი დრამატურგების შემოქმედება. მოცემული კურსის ფარგლებში მაგისტრანტებს მიეცემათ საშუალება, თეორიული ცოდნა გამოიყენონ სხვადასხვა ეპოქის დრამატული ტექსტების გასაანალიზებლად, რისთვისაც შერჩეული იქნება რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები გერმანულენოვანი ლიტერატურიდან.

გერმანულენოვანი ლიტერატურის თეორია VI (გერმანულენოვანი ლირიკა)

წინამდებარე კურსი მომავალ გერმანისტებს გააცნობს ლირიკული ტექსტის ანალიზის თანამედროვე ხერხებს. ყურადღების ცენტრში მოექცევა როგორც გერმანულენოვანი ლექსის ფორმალური ასპექტები, ისე მისი სემანტიკური სტრუქტურა. სემინარებზე სტუდენტებს საშუალება ექნებათ, გაანალიზონ სხვადასხვა ეპოქის გერმანულენოვანი ლირიკის ნიმუშები, იმსჯელონ მათ ფორმალურ და შინაარსობრივ თავისებურებებზე. ყოველივე ამის საფუძველზე ისინი უნდა დაეუფლონ ლირიკული ტექსტის ანალიზის თანამედროვე ხერხებსა და მეთოდებს.

ლიტერატურული ტექსტის ანალიზი

სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ტექტების (ლირიკა, პროზა, ლიტერატურული ეტიუდები) ჰერმენევტიკული ანალიზი ჯგუფში და დამატებითი დავალებების (რეფერატი, სასემინარო მუშაობა) მიზანია, განუვითაროს სტუდენტს არგუმენტაციის უნარი, ანალიტიკური მიდგომა ლიტერატურული ტექსტების მიმართ. კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას და შექმნის მომცრო სამეცნიერო ნაშრომს (საშინაო დავალება).

სინტაქსის თანამედროვე თეორიები

აღნიშნული კურსი იკითხება გერმანულ და ქართულ ენებზე პარალელურად (ჯგუფის მომზადების დონის შესაბამისად) და **რამდენიმე მიზანს** ემსახურება: მისი პირადაპირი დანიშნულებაა, სწავლების რაკურსში მოაქციოს ხუთი სინტაქსური თეორია, რომლებიც ყალიბდებოდა, ზოგადად, ლინგვისტურ სივრცეში, მათ შორის გერმანულ არეალში, გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან მოყოლებული, გარკვეულწილად, როგორც ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებული, მაგრამ არსებითად როგორც ერთმანეთის შემავსებელი თეორიები, რამდენადაც თითოეული მათგანი ინდივიდუალური პოზიციიდან ესწრაფოდა აღსაწერი ფენომენის მაქსიმალურად ადეკვატური სურათის

შექმნას. კურსი ამ ფონზე წარმოაჩენს გერმანულ ლინგვისტურ თეორიებს, როგორც მსოფლიო ლინგვისტური აზროვნებს პროცესის იმანენტურ ნაწილს, ისევე როგორც მათ თავისებურებებს გერმანული ენის სპეციფიკის გათვალისწინებით. გამოუმუშავებს მაგისტრანტს ორიგინალურ ლინგვისტურ ლიტერატურაში დამოუკიდებლად წვდომისა და ურთიერთგამომრიცხავი თეორიების გაანალიზებისა და თითოეულ მათგანში რაციონალური მარცვლის დანახვის უნარს.

ფსიქოლინგვისტიკის თეორიები და მეთოდები გერმანულენოვან სივრცეში

სალექციო კურსი შეასწავლის მაგისტრანტებს ფსიქოლინგვისტიკას, როგორც ერთ-ერთი უახლესი მეცნიერების შესახებ, ცნობებს. ასევე, კურსი მიზნად ისახავს იმ თეორიების, მიმდინარეობებისა და ტერმინოლოგიის გაცნობასა და ათვისებას, რომელთა გავლენა აისახება სხვა მეცნიერებათა კვლევების სფეროზე და უშუალოდ არის დაკავშირებული როგორც ფსიქოლოგიასთან, ასევე ლინგვისტიკასთან. მაგისტრანტს კურსის მოსმენის შემდეგ უნდა შეეძლოს ფსიქოლინგვისტური კატეგორიებით რეალობის შეფასება და ამ ცოდნის დაკავშირება სხვა დიციპლინების არსებით საკითხებთან.

სამეცნიერო მუშაობის ტექნიკა

სამაგისტრო კურსი გააცნობს სტუდენტებს სამეცნიერო მუშაობის ტექნიკას, რომლის საფუძველზეც ისინი თავად შეძლებენ ნაშრომების შექმნას სამეცნიერო სტანდარტების მიხედვით. კურსით გათვალისწინებულია პრაქტიკული სავარჯიშოები, რომლებიც დაეხმარება სტუდენტს, დახვეწოს და პროფესიულ დონეზე განახორციელოს სამეცნიერო ნაშრომი.

სემანტიკა (გერმანული ენის მასალაზე)

წინამდებარე სასწავლო კურსი ითვალისწინებს, რომ სტუდენტს გააცნოს გერმანული ენის სემანტიკის კურსის ძირითადი საკითხები, უახლესი მეთოდები და ამოსავალი დებულებები მნიშვნელობის კვლევის სფეროში, დაუკვირდეს ენაში მიმდინარე პროცესებს, გააცნობიეროს ისინი. მაგისტრანტი ეუფლება სემანტიკური ანალიზის მეთოდებს და ენის სხვადასხვა დონეზე (სიტყვის, წინადადების, ტექსტის) ახორციელებს მას. სემანტიკური ანალიზის გაცნობიერებას ის ახდენს ტექსტისა და სხვადასხვა საკომუნიკაციო ნიმუშებზე მუშაობისა და მათი შედეგების ინტერპრეტაციისას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრაქტიკულ სამუშაოებს ტექსტის დონეზე, შესაბამისად, ტექსტის ლინგვისტურ ინტერპრეტაციას. ამრიგად, მაგისტრანტი იძენს ლინგვისტური კვლევის კონკრეტულ ჩვევებსა და ტექნიკებს,

შეისწავლის რა სამეცნიერო კრიტიკულ ლიტერატურას, პრაქტიკული მაგალითების ანალიზის საფუძველზე ახორციელებს შემდგომში თეორიული ცოდნის რეალიზაციას.

სემიოტიკა (გერმანული ენის მასალაზე)

წინამდებარე სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია, რომ შეძლებისდაგვარად ამომწურავად გააცნოს სტუდენტს აღნიშნული დისციპლინის უმნიშვნელოვანესი ცნებები, განვითარების სხვადასხვა ეტაპები, ცალკეული სკოლები და მიმართულებები, კვლევისა და ანალიზის აქტუალური მეთოდები.

სიტყვაწარმოების პრობლემები

კურსის ფარგლებში მოხდება მაგისტრანტების მიერ ლინგვისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დისციპლინის – სიტყვაწარმოების, კატეგორიების, ცნებების და ტერმინოლოგიის ათვისება. კურსი მიზნად ისახავს იმ სიტყვაწარმოებითი სტრუქტურებისა და მნიშვნელობების შესწავლა-დაუფლებას, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული როგორც წერით, ისე ზეპირმეტყველებასთან. კურსის მოსმენის შემდეგ მაგისტრანტმა უნდა შეძლოს გერმანულ და ქართულ ენებში არსებული სიტყვაწარმოებითი მოდელების ანალიზი, გამოავლინოს მათი საფუძვლიანი ცოდნა და გამოყენების უნარი ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე.

სოციოლინგვისტიკა (გერმანული ენის მასალაზე)

სამაგისტრო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია მაგისტრანტის გარკვევა იმ სოციოლინგვისტიკურ პროცესებში, რომლებიც წარმოიშობა მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში და მოიცავს როგორც ქართული, ისე ევროპული ენების სფეროს. მაგისტრანტმა უნდა შეძლოს განსხვავებული კულტურული გარემოს, სოციალურ ფენის, სქესისა და მსოფლმხედველობის ადამიანთა ენობრივი ქმედებების ანალიზი ქართული სოციოლინგვისტიკური მონაცემების კონტექსტში, დაეუფლოს როგორც სოციოლოგიასთან, ასევე ენათმეცნიერებასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას ქართულ და გერმანულ ენებთან მიმართებით, განსაზღვროს ამ ტერმინოლოგიის კონვერგენტულ-დივერგენტული თავისებურებანი და ქართულ ენაზე თარგმნოს ამ დისციპლინასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურა.

ტექსტის სტილისტიკა (გერმანული ენის მასალაზე)

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია ტექსტის სტილისტიკის ასპექტების ინტეგრირებული სწავლების დანერგვა. სტუდენტების მიერ ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი სტილისტიკის ნაწილობრივი კომპეტენციების საფუძველზე ერთიანი კონცეპტუალური ცოდნის შექმნა. კურსი მოიცავს სტილისტური მოვლენების რაც შეიძლება ფართო სპექტრს, რომელიც შეესაბამება სტილისტიკის ლინგვისტური (ფუნქციონალური და პრაგმატიკული) თეორიების განვითარების უახლეს საფეხურს და ლიტერატურათმცოდნეობითი სტილისტიკის თეორიის თანამედროვე გაგებას.

ტერმინოლოგია და დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკა (გერმანული ენის მასალაზე)

სასწავლო კურსი ითვალისწინებს, შექმნას წინაპირობები იმ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად, რომელიც დღეს საქართველოში მწვავედ იგრძნობა დარგობრივი კომუნიკაციის სფეროში; დარგობრივი კომუნიკაციის სპეციფიკური პირობების ანალიზიდან გამომდინარე, ცოდნის შექმნა დარგობრივი ტექსტის კოჰერენცის, ტექსტის ფუნქციის, ტექსტის სახეობის შესახებ, ასევე დარგობრივი ტექსტის წარმოქმნისა და ოპტიმირების შესახებ.

ტექსტის ლინგვისტური ანალიზი (გერმანული ენის მასალაზე)

სასწავლო კურსის ამოცანაა სტუდენტის ანალიზური უნარ-ჩვევების წარმოჩენა, ამ მიმართულებით გამოცდილების გაღრმავება სხვადასხვა სახეობის როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ ტექსტებზე მუშაობისას. კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია ტექსტის ანალიზის დაუფლება ინტერდისციპლინარულ რაკურსში. არგუმენტაციისა და თავისუფალი მსჯელობის, ტექსტის ჰერმენევტიკული კითხვის, სამეცნიერო ტექსტის პროდუცირების უნარის შექმნა.